დანართი 1

შერჩეული მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა პროგრამული ბიუჯეტის სტატისტიკის შეგროვებაში

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

1. პროგრამის მოკლე აღწერა

<u>პროგრამის სახელწოდება:</u> კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში (GGLD).

GGLD ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით.

<u>პროგრამის მიზანი</u>: საჯარო დაწესებულებები მმართველობის ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ახორციელებენ მოქალაქეებზე ორიენტირებულ მომსახურებას.

ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.

ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისა და მათი დაფინანსებისათვის.

გ)მექანიზმების გაძლიერება მომსახურებების მიწოდებაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.

ე) ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება

<u>პროგრამის ხანგრძლივობა:</u> 01/04/2020 – 31/03/2023

2. ზოგადი ინფორმაცია

GIZ-ის პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“ მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო ინსტიტუციებს მოქალაქეებზე ორიენტირებული და სამართლიანი მომსახურების მიწოდებაში, რაც გაუმჯობესებს ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს. აღნიშნულის მისაღწევად GIZ ხელს უწყობს პარტნიორებს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო-პირობების გაუმჯომესებაში, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ადგილზე მომსახურების მიწოდების ხარისხზე. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამული ბიუჯეტის ეფექტურად დაგეგმვა და აღსრულება. მუნიციპალურ დონეზე საბიუჯეტო პროგრამების

სრულყოფის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს სანდო და ფაქტებზე დაფუძნებული სტატისტიკის ინფორმაციის მოპოვების სირთულე და სისტემატიზაციის არარსებობა წარმოდაგენს.

ამ მიმართულებით 2020 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) ფარგლებში შემუშავებული იქნა „მუნიციპალური პროგრამებისათვის მონაცემების მოპოვების და სისტემატიზაციის მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე პროგრამულ ბიუჯეტის ჭრილში სტატისტიკის წარმოება და სისტემატიზაცია. მისი მიზანია ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობას დახმარება გაუწიოს საბიუჯეტო პროგრამების შედგენაში. კერძოდ, პროგრამების და ქვეპროგრამების ინდიკატორების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრაში, ამ მიზნით შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების მოპოვებაში. მეთოდოლოგიის მოზადებისას მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა, მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების და ანგარიშგების მოთხოვნები, მუნიციპალური ბიუჯეტის სტრუქტურა და სხვა. დოკუმენტში წარმოდგენილია მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ინსტრუმენტები, განხილულია მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების იდენტიფიცირების და გამოყენების მეთოდები, მონაცემების შეგროვების პროცესი, შეგროვებული მონაცემების მართვა და ანალიზი და ა.შ.

2021 წელს შერჩეულ 5 მუნიციპალიტეტში - რუსთავი, ზუგდიდი, ოზურგეთი, გურჯაანი და ქედა - განხროციელდა აღნიშნული მეთოდოლოგიის პილოტირება.

3. _საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურების მიზანია, ერთის მხრივ, „მუნიციპალური პროგრამებისათვის მონაცემების მოპოვების და სისტემატიზაციის მეთოდოლოგიის“ განახლება, რომელშიც ასახული იქნება 2021 წელს მეთოდოლოგიის პილოტირების შედეგები და მეორეს მხრივ, გადამუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეულ 5 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორებისათვის შესაბამისი მონაცემების მოპოვება ან/და შემუშავება.

4. .სამუშაოს მიმღების შესასრულებელი ამოცანები

სამუშაოს მიმღებმა შერჩეულ მუნიციპალიტეტებში უნდა უზრუნველყოს:

1. „მუნიციპალური პროგრამებისათვის მონაცემების მოპოვების და სისტემატიზაციის მეთოდოლოგიის“ განახლება:
    - 2021 წელს მეთოდოლოგიის პილოტირების შედეგების ანალიზი და მიღებული გამოცდილების მეთოდოლოგიაში ასახვა.
    - „მუნიციპალური პროგრამებისათვის მონაცემების მოპოვების და სისტემატიზაციის მეთოდოლოგიის“განახლებული ვერსიის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმება

2. „მუნიციპალური პროგრამებისათვის მონაცემების მოპოვების და სისტემატიზაციის მეთოდოლოგიის“ განახლებული ვერსიის შესაბამისად შერჩეულ 5 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორებისათვის შესაბამისი მონაცემების მოპოვება ან/და შემუშავება:

- 5 მუნიციპალიტეტის შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება და მათი შერჩევა
- ყველა იმ მოქმედი საბიუჯეტო დოკუმენტაციის შესწავლა სადაც წარმოდგენილია მუნიციპალური პროგრამები. მათ შორის: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტი, წლიური ბიუჯეტის პროგრამული დანართი და სხვა.
- შესწავლილი საბიუჯეტო დოკუმენტაციის მიხედვით მუნიციპალური პროგრამების შესაბამისობის დადგენა „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებასთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პროგრამებსა და ქვეპროგრამებში წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებზე, რომელთა მეშვეობითაც განსაზღვრულია პროგრამებისა და ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები.
- თითოეულ მუნიციპალიტეტში **არანაკლებ 3** პროგრამისათვის (ქვეპროგრამისათვის) სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ან/და მოპოვება. შეგროვებული/მოპოვებული უნდა იქნას ისეთი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი პროგრამების (ქვეპროგრამების) მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორის შეფასებისათვის.
- გენდერულად სენსიტიურ პროგრამებზე შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება/შემუშავება
- ჯამში **არანაკლებ 15** პროგრამა (ქვეპროგრამა) შეირჩევა ისე, რომ მოიცავდეს მუნიციპალური ბიუჯეტის ყველა, 6-ვე პრიორიტეტს: მმართველობა და საერთო დანიშნულების მომსახურება; ინფრასტრუქტურის განვითარება; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით წარმოდგენილი იქნება არანაკლებ 3 პროგრამის (ქვეპროგრამის) შეფასების ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე ინდიკატორის განსაზღვრისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები. ამასთან, თითოეულ მონაცემზე წარმოდგენილი უნდა იქნას მონაცემის შეგროვების/მოპოვების მეთოდი და ინსტრუმენტები, მონაცემის მოპოვების წყარო, შემდგომში მონაცემის გამოყენების და შეგროვების სიხშირე.
- მომავალში, მუნიციპალიტეტის მიერ ანალოგიური სამუშაოს წარმატებით ჩატარების მიზნით რეკომენდაციების მომზადება. რეკომენდაციები უნდა მოიცავდეს განხორციელების მეთოდებს და მიდგომებს, სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

დაკვეთა მოიცავს, როგორც მუნიციპალიტეტში ვიზიტებს, ასევე ონლაინ შეხვედრებსაც.

5. სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი და გადახდები:

- სამუშაოს დაწყება: 22.06.2022
- სამუშაოს დასრულება 22.08.2022
- საბოლოო გადახდა სავარაუდოდ 22.08. 2022-მდე მოხდება საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე.

6. საბოლოო ანგარიშგება

საკონსულტაციო მომსახურების მიმღებმა არა უგვიანეს 22.08.2022-მდე უნდა მოამზადოს **საბოლოო ანგარიში** , რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულ საკითხებს
- განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე მიღწეულ შედეგებსა და მიგნებებს
- მიღებულ გამოცდილებას,
- ადგილობრივ დონეზე სტატისტიკის სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს
- მიღებული გამოცდილებისა და მისი სხვა მუნიციპალიტეტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან წარმატებით გავრცელების მიზნით რეკომენდაციების მომზადებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განხორციელების მეთოდები და მიდგომები და რომელიც წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

7.სხვა საკითხები

- ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმღები რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას და ყველა ცალკეულ ღონისძიებას შეათანხმებს GIZ-თან.
- სამუშაო მიმღები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) შეთანხმების საფუძველზე პროექტის განხორციელების დროს მჭიდროდ ითანამშრომლებს და პროექტის მსვლელობის შესახებ რეგულარულ ინფორმაციას

მიაწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

8. განაცხადების შერჩევა და მიღება

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის გამოცდილება: ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მუნიციპალური ფინანსების, მუნიციპალური სტატისტიკისა და ანგარიშგების მიმართულებით მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება (შემოთავაზებით უნდა დასტურდებოდეს ორგანიზაციის გამოცდილება მსგავსი დაკვეთების განხორციელების მიმართულებით);.
2. წარმოდგენილი ექსპერტების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით სამუშაო აღწერილობაში მითითებულ თემებზე *(როგორიცაა, მუნიციპალური ფინანსები, მუნიციპალური სტატისტიკა და ანგარიშგება).* მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეებით (CV-ებით);
3. ტექნიკური (შინაარსობრივი) წინადადების ხარისხი და მისი თანხვედრა სამუშაო აღწერილობით გათვალისიწინებულ მიზნებთან *(რაც მოიცავს დაკვეთის აღწერას, კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის გზებს, პროექტის განხორციელების გეგმას, დაკვეთის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებს და მათი აქტივობების განხორციელების განრიგს).*
4. სამუშაოს განხორციელების გეგმა ამოცანების და აქტივობების მიხედვით გადანაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობების მითითებით;
5. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.

პროექტის პერსონალის სტრუქტურა

პროექტის პერიოდში 2022 წლის 22 ივნისიდან 22 აგვისტომდე სამუშაო აღწერილობით გათვალსიწინებული მომსახურების განსახორციელებად დაგეგმილია არაუმეტეს 4 ექსპერტის (სულ მაქსიმუმ 69 სამუშაო დღე) მონაწილეობა:

პერსონალი	**სამუშაო დღეები (მაქს.)**
პროექტის მენეჯერი	22
პროგრამული ბიუჯეტის ექსპერტი	20
სტატისტიკის ექსპერტი	17
პროექტის ასისტენტი	10

განაცხადის წარდგენა

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე და უნდა მოიცავდეს ორ ნაწილს - შინაარსობრივ და ფინანსურ შემოთავაზებებს.

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

1. თავფურცელი

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

2. პროექტის აღწერა

2.1 პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)

2.2. პროექტის მიზანი და ამოცანები

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	აპრილი	მაისი	ივნისი	კომენტარი
1	X				*[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]*
2	Y				
3	Z				
...	…				

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში. განაცხადს ასევე თან უნდა ერთვოდეს დასახელებული პირების რეზიუმეები.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)

#	კატეგორია	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი (GEL)	საერთო ღირებულება (GEL)	განმარტება
1	**ექსპერტის ჰონორარი****					
1.1		[კაც-დღე]				
1.2						
1.3						
1.4						
	ჯამი					
2	**სხვა ხარჯი (საჭიროებისამებრ)**					
2.1	ტრანსპორტის ხარჯი					
2.2	ღამისთევის ხარჯი					
	ჯამი					
	სულ ჯამი					

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯი, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები.

ექსპერტის ჰონორარი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის სხვა პერსონალის ხარჯებს, კომუნიკაციის, ანგარიშგების და ასევე ყველა შესაძლო დამატებით ხარჯს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების, ინტერესებისა და რისკების ფაქტორებთან.

****მითითებული ჰონორარები უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.***